# საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზოგიერთი ასპექტი

**ხათუნა თოდუა**
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

***ზვიად ბეშკენაძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

## НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ УРОВНЯ ЖИЗНИ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ

**Хатуна Тодуа,**
Ассоциированный профессор,
Государственный университет
Акакия Церетели
**Звиад Бешкенадзе,**
Ассоциированный профессор
Государственный университет
Акакия Церетели

**АННОТАЦИЯ**

В статье исследуется ряд аспектов, характеризующих уровень жизни насе- ления Грузии. Подчеркивается, что население Грузии имеет неплохие показатели доступа к услугам питьевой воды, но есть потенциал для дальнейшего улучшения данных показателей. Делается вывод о низком уровне среднесуточного потребления килокалорий на душу населения в Грузии. Анализируется динамика уровня бедности (малообеспеченности) населения Грузии. Анализ индекса Джинни позволяет сделать вывод о достаточно неравномерном распределении располагаемых ресурсов. Также подчеркивается неустойчивая динамика обеспеченности жильем.

**Ключевые слова:** уровень жизни, Грузия.

**საკვანძო სიტყვები:** ცხოვრების დონე, საქართველო.

* * * *

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, საშუალოდ 4%-იანი ეკონომიკური ზრდით და 4 მილიონამდე მოსახლეობით.

2022 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე 19.0 პროცენტით გაიზარდა და 1 453.8 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 18.6 პროცენტით გაიზარდა და 432.7 ლარს გაუტოლდა; თუმცა, 2022 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,8 %-ით გაიზარდა, ბოლო 12 თვის საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი, საქსტატის ცნობით, 11,9 %-ს მიაღწია, რაც თავის მხრივ, 1999 წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შესაბამისად, თუ ფასების ზრდის დონეს გავითვალისწინებთ, საქართველოში მცხოვრები ოჯახების რეალური შემოსავლები ბოლო ერთ წელიწადში არ გაზრდილა.

2019 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება საქართველოში ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ყველაზე მაღალ ნიშნულზე 2010 და 2011 წლებში იყო და 0,42-ს უტოლდებოდა, 2021 და 2022 წლებში კი 0,34 შეადგინა, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული მინიმუმია, მაინც მაღალი მონაცემია და აჭარბებს როგორც ჩვენი მეზობელი, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლებს, რუსეთისა და თურქეთის გამოკლებით.

სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში აბსოლუტური სიღარიბე და უთანასწორობაც მცირდება ეკონომიკური ზრდის ფონზე, მაგრამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მაინც არასახარბიელოა.

2021 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 645 ათასამდე ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 17,5 % ცხოვრობდა, 2022 წელს კი - 15,6 %, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 1,9, ხოლო 2020 წლის შედეგზე 5,7 %-ით ნაკლებია, მაგრამ დამშვიდების საფუძველს მაინც არ იძლევა, ვინაიდან ქვეყანაში თითქმის ყოველი მე-6 მოქალაქე სიღარიბის ზღვარს მიღმაა და ვერ იკმაყოფილებს ისეთ პირველად მოთხოვნილებებს, როგორიცაა მოთხოვნილება საკვებზე, სუფთა წყალზე, საცხოვრებელზე, მედიკამენტებზე და სხვ.

ქვეყანაში აშკარად კლებულობს სურსათის მოხმარების წილი, ხოლო ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე, ტრანსპორტზე და სხვ. - იზრდება.

ჩვენი მოსახლეობის უღატაკესი ფენა დღეში მხოლოდ 1600 კილოკალორიას ღებულობს, საიდანაც 1200 კილოკალორია პურზე მოდის; პურისა და პურპროდუქტების წილი ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით გაზრდილია და საკვები პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 61% მათზე მოდის. ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ძირითადად იკვებება შემწვარი კარტოფილით, ლობიოთი, ბადრიჯნით, ხორციანი კერძით კი - იშვიათად.

ეს მაშინ, როცა ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საქართველოში საკვებში პური უნდა შეადგენდეს დღეში 350 გრამს, ხორცი-200, რძე და რძის პროდუქტები -960, კარტოფილი -170, ბოსტნეული-370, ხილი-210, თევზი კი -50 გრამს. ბოლო 25

წელია, საქართველოში დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება, ხორცის, თევზის, რძის მიღება მნიშვნელოვნად არის შემცირებული. საქართველოს მოსახლეობის თითქმის 75% უსახსრობის გამო არასრულფასოვნად იკვებება.

გამოწვევას წარმოადგენს დღეს საქართველოში სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა წყლის საშუალო რაოდენობა თითოეულ ადამიანზე არსებითი და ძირითადი საჭიროებებისათვის, ეს არის დღე-ღამეში 50-დან 100 ლიტრამდე წყალი, 20-დან 25 ლიტრამდე წყალი კი მიჩნეულია მინიმალურ რაოდენობად; იმავდროულად განმარტებულია, რომ მინიმალური რაოდენობით მიწოდების შემთხვევაში შეუძლებელია არსებითი ჰიგიენური და სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება და სახეზეა ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი რისკი.

საქსტატის მოკვლევის მიხედვით, 2022 წლის ბოლოსთვის, საქართველოში წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო მთლიანი მოსახლეობის 71.5% ანუ 2.67 მილიონი ადამიანი,რაც 1.6%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2.63 მილიონი ადამიანი), მაგრამ წყლის ინფრასტრუქტურის საოჯახო მეურნეობამდე მიყვანა არ გულისხმობს ყველასთვის 24-საათიან მომარაგებას, ბევრ დასახლებაში წყლის მიწოდება ხდება გარკვეული საათების განმავლობაში. ამას გარდა, ამ საშუალო მაჩვენებლებს მაღლა სწევს თბილისის მონაცემები, თბილისის გარეშე, დანარჩენი რეგიონების დაფარვის მაჩვენებელი 56%-ია. ამჟამად ქალაქის მოსახლეობის 10%-ზე ცოტა ნაკლებს და სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტს საცხოვრებელ ბინებში ცენტრალური წყალმომარაგება არა აქვს, ქალაქების მოსახლეობის 5% და სოფლის მოსახლეობის 65% სასმელ წყალს დამოუკიდებლად მოიპოვებს და ძირითადად იყენებს მიწისქვეშა წყლებს (ჭები, წყაროები, მცირემასშტაბიანი წყალმომარაგების სისტემები). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით სასმელი წყლის მოხმარება (გამრიცხველიანებული სექტორი) საშუალოდ ერთ სულზე დღე-ღამის განმავლობაში შეადგენს 173 ლიტრს, ხოლო საშუალოდ ერთ აბონენტზე - 404 ლიტრს; თუმცა,არის ტერიტორიები, სადაც რაიმე ფორმით წყლის მიწოდება საერთოდ პრობლემაა და ეზომდე წყალს ცისტერნებით ეზიდებიან; პრობლემებია სასმელი წყლის ხარისხთასნ დაკავშირებითაც, განსაკუთრებით, ცუდი კლიმატური პირობებისას.

ამგვარად, ზედაპირული და მიწისქვეშა წყაროების სიუხვის საერთო ფონის მიუხედავად, თითქმის ყველა რეგიონი განიცდის ნორმატიული ხარისხისა და საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლის დეფიციტს. მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ქვეყნის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სფეროში არსებული პრობლემები აქტუალურია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონისათვის.

ღირსეულ საცხოვრისზე ადამიანის უფლება აღიარებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით, სოციალურად სტაბილური საცხოვრებელი სტრუქტურების შექმნა და შენარჩუნება, ბიუჯეტური, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნება, საცხოვრებელ შენობებში და მის შემოგარენში მცხოვრები პირებისთვის ბარიერის გარეშე მშენებლობის მოთხოვნების უზრუნველყოფა (ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის) მნიშვნელოვანი ამოცანებია;

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა უსახლკაროთა საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხი, ამას განაპირობებს უსახლკარობის გამომწვევი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ავარიული საბინაო ფონდი, საბანკო სესხების სანაცვლოდ, ერთადერთი საცხოვრისის უზრუნველყოფა, ლუდომანიისა და ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანების მხარდამჭერი სისტემების არარსებობისა და სხვა მიზეზების გამო ბინების მასობრივი დაკარგვა და ა.შ. დღესდღეობით, საქართველოში უცნობია უსახლკაროთა ზუსტი სტატისტიკა.

წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ უსახლკარო პირთა მიმართ საერთო პოლიტიკის არარსებობის ოფიციალური მიზეზი სწორედ სტატისტიკური მონაცემების არქონაა. საცხოვრისთან დაკავშირებული საჭიროებების მზარდი ტენდენციის ფონზე, აუცილებელია ფართო ეკონომიკური და სოციალური ანალიზი, სადაც უსახლკარო პირთა ერთიანი სტატისტიკის ნაცვლად, გამოყენებული იქნება უფრო ფართო და ზოგადი მონაცემებიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქ. სართანია, საცხოვრისის ერთიანი პოლიტიკის შექმნის გამოწვევები: არსებული ბარიერებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა, 2023 წ. socialjustice.org.ge/ka/products/satskhovrisis-ertiani-politikis-shekmnis-gamotsvevebi-arsebuli-barierebisa-da-shesadzleblobebis-mimokhilva (გადამოწმებულია 011.10.2023 წ.).

2. მ. კვარაცხელია, სიღარიბის საკითხისათვის საქართველოში;
https://oaji.net/articles/2017/4783-1519242571.pdf

3. სასმელ წყალთან დაკავშირებული რისკის შეფასების ანგარიში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2018 https://srca.gov.ge/files/sasmeli_wyali.pdf

4. მ. მუჩიაშვილი, სოციალური სფეროს პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ ეკონომიკური განვითარების ინოვაციური და სტრუქტურული პრობლემები" - მასალების კრებული, თბ., 2017 წ.

5. WaSH თითოეული ჩვენგანის უფლებაა (საინფორმაციო ბროშურა), ევროკავშირი საქართველოსათვის, CENN.